7

+

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №---

2021 წლის -----აგვისტო

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ზერაძე

შეთანხმებულია თ. მამარდაშვილი

4076

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: 48-482119099
თარიღი: 09/07/2021
პინი: 2125

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გიგზავნით საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშს 2021 წლის I-II კვარტალში გაწული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით:

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

4077

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური არის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც გაჩნია დებულება და საკუთარი ბეჭედი.

სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტების შემუშავება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანალიზი, შესაბამისი ინფორმაციებისა და წინადადებების მომზადება;

წყალტუბოს ბიუჯეტის გადასახდელების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მოწყობასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემთა ანალიზი;

ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების თაობაზე შესაბამისი პროექტის მომზადება;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესების და საბიუჯეტო სახსრების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში დადგენილი წესის შესაბამისად, განხორციელებული ფაქტობრივი და საკასო ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციების ყოველდღიური აღრიცხვა;

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა დანიშნულებისამებრ. სტატისტიკურ-საინფორმაციო მონაცემების მომზადება - დამუშავება.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

• საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;

• სახაზინო განყოფილება;

• ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება;

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება წარმოდგენილია 12 თანამშრომლით. თანამშრომელთა შორის სამუშაო ფუნქციები გადანაწილებულია სამუშაო აღწერილობების მიხედვით და ფუნქციური დატვირთვით ხდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

4078

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების ფუნქციაა საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, რაც იმაში მდგომარეობს რომ განყოფილების მიერ იძებნება საუკეთესო გამოსავალი თუ როგორ მოიძიოს და რა სახის, რა ოდენობის თანხები უნდა იქნას იმისათვის მობილიზებული, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს აღებული ვალდებულებების შესრულება.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მიერ ხდება შემოსულობებისა და გადასახდელების იმგვარად დაბალანსება, რომ იგი იქცეს თვითმმართველობის განვითარების რეალურ შესაძლებლობლად.

მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული. მისი დამოუკიდებლობა განპირობებულია საკუთარი შემოსავლებით და გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება ახორციელებს ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას და ზედამხედველობას. განყოფილება უზრუნველყოფს ბიუჯეტის წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ცვლილებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია და მოიცავს მთელ საანგარიშო წელს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება" საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით", საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' , „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", „ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას და პროექტის შემუშავებას. მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წლიური ხარჯთაღრიცხვის პროექტების შესახებ წინადადებების შემუშავებას და შესრულებაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების შემუშავებაზე კონტროლს, მათ მიერ სახაზინო წარმოდგენილი

4079

ოპერაციების შესაბამისობის გადამოწმებას და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენის ზედამხედველობას; ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლებისა და თვეების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას მიღებულ ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებასა და წარდგენას.

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მიერ მომზადდა სამი ბიუჯეტის ცვლილების პროექტი და წარდგენილ იქნა საკრებულოში . ასევე საანგარიშო პერიოდში მომზადდა მერის ბრძანებით, ბიუჯეტის დაზუსტების 4 ბრძანების პროექტი, რაც განაპირობა მუხლობრივმა ცვლილებებმა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის, პრიორიტეტის ფარგლებში და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვამ. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც შეადგენდა 16 361,5 ათას ლარს, განისაზღვრა 27 336,9 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებები ასახული იქნა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ასევე მომზადდა საანგარიშო პერიოდში და წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 5 მიმართვა საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოსარიცხი თანხების გაანგარიშების შესახებ შესრულებული სამუშაოების მიღება - ჩაბარებების შესაბამისად.

პერიოდულად განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში გაწერა, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადახდების განსახორციელებლად.

საანგარიშო პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების მომზადება. მათი ვალდებულებების, მოთხოვნების, ხელშეკრულებებისა და განაცხადების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენა (საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება წარმოდგენილია, როგორც შუამავალი რგოლი).

**სახაზინო განყოფილება** - ახორციელებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში გადახდების განხორციელებას და შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით.

სახაზინო განყოფილების მიერ გადახდების განხორციელების მიზნით, თანხების გადარიცხვა ხდება ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია. ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (პროექტების მიმდინარეობის შესახებ), ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის.

4080

აღსანიშნავია, რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ მზადდება ყოველი თვის შესრულების ანგარიში . ანგარიშის მომზადებაში ჩართულია საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული , საბიუჯეტო კლასიფკაციით გათვალისწინებული , ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული მუნიციპალური დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს მომართვების თანახმად.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ყველა შემოსული განცხადების შესაბამისად.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მომზადდდა და წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 3 თვის ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ ნაზარდი ჯამით. მომიხილვა ასევე მოიცავდა ინფორმაციას შემოსულობების , გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

**ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება** - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მიერ ხდება საბიუჯეტო პროცესის ბუღალტრული დამუშავება და ბუღალტრული ანგარიშების მომზადება. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომზადებული იქნა და სახელმწიფო ხასინას წარდგინა 2020 წლის ბუღალტრული ანგარიში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის კონსოლოდირებული ბუღალტრული ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ დაიწყო მუშაობა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაზე. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება ხდება საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა არეგულირებს ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის შედგენას სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია მუნიციპალიტეტის ფინანსური

მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა ითვალისწინებს ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურის თავისებურებებს და სპეციფიკურ საქმიანობას.

შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ანგარიშების გეგმის სტრუქტურა ითვალისწინებს: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებს;

აღრიცხვის დოკუმენტთბრუნვას;

პირველადი აღრიცხვის გარე და შიდა ფორმების გამოყენებას, სამეურნეო ოპერაციების მოხდენის ფაქტის დასადასტურებლად ;

არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ფორმების შედგენას და ანალიზურ აღრიცხვას;

მმართველობითი აღრიცხვის და შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის წესებს და პირობებს;

სტატისტიკურ და სხვა არაფინანსური ანგარიშების მომზადების წესებს.

საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასებით, საავადმყოფო ფურცლით, მივლინებების გაანგარიშება ჩარიცხვა და დეკლარირება, სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. ბუღალტრული ანგარიშის მომზადება საბუღალტრო პროგრამა „ორისში“.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს 10 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურდიულ პირს, 10 მუნიციპალურ სამსახურს. ხელფასებით ანგარისსწორებას უწევს 179 საშტატო და 20 არასაშტატო თანამშრომელს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მირ მუშაობის პროცესში დაცულია შემდეგი პრინციპები:

**ყოვლისმომცველობა** -ანუ ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ასახვა ბიუჯეტში.

**გამჭვირვალობა**- ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

**ანგარიშვალდებულება**- ანუ საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

**დამოუკიდებლობა**- საკუთარი შემოსავლების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება.

ერთიანობა,

კონსოლიდირება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური აუდიტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N008350/21 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საფუძველზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი ახდენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ ხდება ყველა მოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება აუდიტორისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური აუდიტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N008350/21 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი 2021 წლის 2 ივნისიდან, ახდენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას.

აღნიშნული შემოწმებები მიმდინარეობს დღემდე და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის.

4083

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წყალტუბო

წერილის ნომერი: **48-482119099**
თარიღი: **09/07/2021**
პინი: **2125**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გიგზავნით საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშს 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით:

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

468

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური არის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც გაჩნია დებულება და საკუთარი ბეჭედი.

**სამსახურის ძირითადი ამოცანებია:**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტების შემუშავება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანალიზი, შესაბამისი ინფორმაციებისა და წინადადებების მომზადება;

წყალტუბოს ბიუჯეტის გადასახდელების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მოწყობასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემთა ანალიზი;

ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების თაობაზე შესაბამისი პროექტის მომზადება;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესების და საბიუჯეტო სახსრების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში დადგენილი წესის შესაბამისად, განხორციელებული ფაქტობრივი და საკასო ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციების ყოველდღიური აღრიცხვა;

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა დანიშნულებისამებრ. სტატისტიკურ-საინფორმაციო მონაცემების მომზადება - დამუშავება.

**სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:**

- საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;
- სახაზინო განყოფილება;
- ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება;

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება წარმოდგენილია 12 თანამშრომლით. თანამშრომელთა შორის სამუშაო ფუნქციები გადანაწილებულია სამუშაო აღწერილობების მიხედვით და ფუნქციური დატვირთვით ხდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

## საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების ფუნქციაა საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, რაც იმაში მდგომარეობს რომ განყოფილების მიერ იძებნება საუკეთესო გამოსავალი თუ როგორ მოიძიოს და რა სახის, რა ოდენობის თანხები უნდა იქნას იმისათვის მობილიზებული, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს აღებული ვალდებულებების შესრულება.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მიერ ხდება შემოსულობებისა და გადასახდელების იმგვარად დაბალანსება, რომ იგი იქცეს თვითმმართველობის განვითარების რეალურ შესაძლებლობლად.

მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული. მისი დამოუკიდებლობა განპირობებულია საკუთარი შემოსავლებით და გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება ახორციელებს ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას და ზედამხედველობას. განყოფილება უზრუნველყოფს ბიუჯეტის წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ცვლილებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია და მოიცავს მთელ საანგარიშო წელს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ’’ , „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, „ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას და პროექტის შემუშავებას. მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წლიური ხარჯთაღრიცხვის პროექტების შესახებ წინადადებების შემუშავებას და შესრულებაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების შემუშავებაზე კონტროლს, მათ მიერ წარმოდგენილი სახაზინო

4070

ოპერაციების შესაბამისობის გადამოწმებას და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენის ზედამხედველობას; ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლებისა და თვეების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას მიღებულ ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებასა და წარდგენას.

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მიერ მომზადდა სამი ბიუჯეტის ცვლილების პროექტი და წარდგენილ იქნა საკრებულოში . ასევე საანგარიშო პერიოდში მომზადდა მერის ბრძანებით, ბიუჯეტის დაზუსტების 4 ბრძანების პროექტი, რაც განაპირობა მუხლობრივმა ცვლილებებმა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის, პრიორიტეტის ფარგლებში და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვამ. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც შეადგენდა 16 361,5 ათას ლარს, განისაზღვრა 27 336,9 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებები ასახული იქნა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ასევე მომზადდა საანგარიშო პერიოდში და წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 5 მიმართვა საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოსარიცხი თანხების გაანგარიშების შესახებ შესრულებული სამუშაოების მიღება - ჩაბარებების შესაბამისად.

პერიოდულად განხორციელდა სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში გაწერა, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადახდების განსახორციელებლად.

საანგარიშო პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების მომზადება. მათი ვალდებულებების, მოთხოვნების, ხელშეკრულებებისა და განაცხადების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენა (საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება წარმოდგენილია, როგორც შუამავალი რგოლი).

**სახაზინო განყოფილება** - ახორციელებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში გადახდების განხორციელებას და შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით.

სახაზინო განყოფილების მიერ გადახდების განხორციელების მიზნით, თანხების გადარიცხვა ხდება ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია. ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (პროექტების მიმდინარეობის შესახებ), ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ მზადდება ყოველი თვის შესრულების ანგარიში . ანგარიშის მომზადებაში ჩართულია საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული , საბიუჯეტო კლასიფკაციით გათვალისწინებული , ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული მუნიციპალური დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს მომართვების თანახმად.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ყველა შემოსული განცხადების შესაბამისად.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მომზადდა და წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 3 თვის ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ ნაზარდი ჯამით. მომიხილვა ასევე მოიცავდა ინფორმაციას შემოსულობების , გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

**ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება** - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მიერ ხდება საბიუჯეტო პროცესის ბუღალტრული დამუშავება და ბუღალტრული ანგარიშების მომზადება. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომზადებული იქნა და სახელმწიფო ხასინას წარდგინა 2020 წლის ბუღალტრული ანგარიში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის კონსოლოდირებული ბუღალტრული ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ დაიწყო მუშაობა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაზე. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება ხდება საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა არეგულირებს ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის შედგენას სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია მუნიციპალიტეტის ფინანსური

მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა ითვალისწინებს ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურის თავისებურებებს და სპეციფიკურ საქმიანობას.

4072

შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ანგარიშების გეგმის სტრუქტურა ითვალისწინებს: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებს;

აღრიცხვის დოკუმენტთბრუნვას;

პირველადი აღრიცხვის გარე და შიდა ფორმების გამოყენებას, სამეურნეო ოპერაციების მოხდენის ფაქტის დასადასტურებლად ;

არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ფორმების შედგენას და ანალიზურ აღრიცხვას;

მმართველობითი აღრიცხვის და შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის წესებს და პირობებს;

სტატისტიკურ და სხვა არაფინანსური ანგარიშების მომზადების წესებს.

საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასებით, საავადმყოფო ფურცლით, მივლინებების გაანგარიშება ჩარიცხვა და დეკლარირება, სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. ბუღალტრული ანგარიშის მომზადება საბუღალტრო პროგრამა „ორისში".

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს 10 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურდიულ პირს, 10 მუნიციპალურ სამსახურს. ხელფასებით ანგარისსწორებას უწევს 179 საშტატო და 20 არასაშტატო თანამშრომელს.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მირ მუშაობის პროცესში დაცულია შემდეგი პრინციპები:

**ყოვლისმომცველობა** -ანუ ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ასახვა ბიუჯეტში.

**გამჭვირვალობა**- ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

**ანგარიშვალდებულება**- ანუ საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

**დამოუკიდებლობა**- საკუთარი შემოსავლების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება.

**ერთიანობა,**

კონსოლიდირება.

4073

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური აუდიტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N008350/21 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საფუძველზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი ახდენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ ხდება ყველა მოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება აუდიტორისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური აუდიტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N008350/21 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი 2021 წლის 2 ივნისიდან, ახდენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას.

აღნიშნული შემოწმებები მიმდინარეობს დღემდე და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის.

407

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2021 წლის 27 აგვისტოს განიხილა განკარგულების პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2021 წლის პირველ-მეორე კვარტალში გაწეული სამუშაოს შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, სადაც დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით შეფასებულ იქნა დადებითად და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ მამარდაშვილი

4075